საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1533

05/11/2021

ქ. თბილისი

ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალბედისეულის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (714 120 მ^3 ბაზალტის) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალბედისეულის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (714 120 მ^3 ბაზალტის) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალბედისეულის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 360-470 მეტრის სიმაღლეზე. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-293502, Y-4697033; X-293895, Y-4696907; X-293596, Y-4696617; X-293349, Y-4696791. სალიცენზიო ობიექტის ფართობია 119020 მ^2 (11.90 ჰა). წარმოდგენილი GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დაახლოებით 1.1 კმ-ის დაშორებით. წიაღის მოპოვების ტერიტორია კვეთს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ადგილობრივ გრუნტის გზას.

მორფოლოგიური თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი (ბაზალტი) მდებარეობს იმერეთის მთისწინა გორაკ-ბორცვიან ზონაში, რომელიც მოიცავს უსახელო გორაკის თხემურ ნაწილს, ასევე ჩრდილო-დასავლური და სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციის მქონე ფერდობებს, რომელთა დახრილობა სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში და მის მიმდებარედ საშუალოდ 20-30^0-ის ინტერვალში მერყეობს. აღნიშნული გორაკის რელიეფი წარმოადგენს მდ. ზემო კუხის მარჯვენა უსახელო შენაკადების წყალგამყოფს. სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია დაფარულია მცენარეული საფარით.

ტექტონიკური დარაიონების მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მიეკუთვნება ამიერკავკასიის მთათაშუა არეს, ცენტრალური აზევების ზონას, ოკრიბა-ხრეთის ქვეზონას. გეოლოგიური თვალსაზრისით, წიაღის გამოვლინების ტერიტორია აგებულია ზედა ცარცული (ტურონსანტონერი) ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებით: ტუფებით, ტუფობრექჩიებით, ბაზალტის განფენებითა და კირქვების შუაშრეებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტზე საძიებო სამუშაოების ფარგლებში საბადოზე გაყვანილია თხრილები, შურფები, ჭაბურღილები და საცდელი კარიერები, რომლის მონაცემების საფუძველზე წიაღითსარგებლობის ობიექტზე არსებული ბაზალტის პროგნოზული მარაგია 714120 $м^3$. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტზე თანმდევი სასარგებლო წიაღისეული არ არის დაფიქსირებული.

სკრინინგის განცხადების თანახმად, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. ტერიტორიაზე არსებული გეოდინამიკური მდგომარეობა სტაბილურია და წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. ობიექტის დამუშავება დაგეგმილია ღია კარიერული წესით.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური, ატმოსფერულ ჰაერზე, წყალზე, ნიადაგზე ზემოქმედება, ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენების საკითხები, ასევე, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების შესახებ, ასევე, არ არის შეფასებული საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, სადაც წარმოდგენილია მრავალწლოვანი ხე-მცენარეები და ბუჩქნარი. დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მოსალოდნელია გარემოდან ხე-მცენარეების ამოღება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის, მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ წერილობითი შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა სკრინინგის დოკუმენტაციის შეუსაბამობას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მოთხოვნებთან, კერძოდ, დოკუმენტში უახლოესი საცხოვრებელი სახლების/სხვა ტიპის ნაგებობების და სოფლის სარგებლობაში არსებული მიწების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობას, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ მოძველებულ ლიტერატურას, ლიცენზიის გაცემის ვადებსა და პირობებს, საქმიანობის მახასიათებლებისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაციის არარსებობას.

სკრინინგის განცხადების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული წესი) და საპროექტო ტერიტორიის

ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა საჭიროებს დამატებით შესწავლასა და გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალურ შეფასებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალბედისეულის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (714 120 $მ^3$ ბაზალტის) მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი